*დანართი №1*



**შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმის მონიტორინგის შესახებ**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: ქეთევან ჭუჭულაშვილი

**წევრი:**

მაგდა ბარამაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების  სახელწოდება: მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 248417896

**სახე**:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

■ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

***ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):***

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

- ☐ **გეგმიური**
- ☐ **არაგეგმიური**
- ■ **მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

## IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 12 აგვისტოს №897666 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ქეთევან ჭუჭულაშვილი- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე);
2. მაგდა ბარამაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (წევრი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმის მიერ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ე) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ე.ა) და ე.ბ) კომპონენტების შესრულების შემოწმების მიზნით მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმის მონიტორინგის მასალები და შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი. 2022 წლის 22 აგვისტოს განხორციელდა ვიზიტი ქ. ბათუმში, შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმში.

დოკუმენტაციის შესწავლის, ადმინისტრაციასთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებისა და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე შედგა შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმის მონიტორინგის დასკვნა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

## V. ავტორიზაციის 1-ელ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| **5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | | მეტწილად შეესაბამება |
| 5.2) საინფორმაციო რესურსები | | სრულად შეესაბამება |

## VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*არ გამოვლენილა*

## VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

1. **შესაბამისობის რეკომენდაცია - 5.1.1.1 - დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით; 5.1.1.2 - დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის; 5.1.1.9 - ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;**

წინა ვიზიტის დროს, რომელიც განხორციელდა 2022 წლის 23, 24 და 25 თებერვალს დაწესებულების პირველ კორპუსში (მათ შორის, ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში) მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. დაწესებულებამ ექსპერტებს წარუდგინა შესაბამისობის გეგმა (ბრძანება №01-03/2; 24.02.2022წ.) რომლის შესაბამისადაც, ლიცეუმის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის, სარემონტო სამუშაოების დასრულებისა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასწავლო და სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის, (№2 აქტივობა) დასრულების ვადად მითითებული იყო 2022 წლის 28 ივლისი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ 5.1.1.1, 5.1.1.2 და 5.1.1.9 კომპონენტები შეფასებულ იქნა როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 22 აგვისტოს, სარემონტო მოპირკეთების სამუშაოები დაწესებულების სასწავლო და სამუშაო გარემოში, მათ შორის, ბიბლიოთეკაში და სასწავლო აუდიტორიებში დასრულებულია. **რეკომენდაცია შესრულებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

2. **შესაბამისობის რეკომენდაცია - 5.1.2.1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;** წინა ვიზიტისას (2022 წლის 23, 24 და 25 თებერვალი) ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის შესაბამისად, დაწესებულებაში არასრულად ფუნქციონირებდა სახანძრო უსაფრთხოების სისტემა, დაწესებულებამ ექსპერტებს ასევე წარუდგინა შესაბამისობის გეგმა (ბრძანება №01-03/2; 24.02.2022წ.), რომლის შესაბამისადაც სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწესრიგების დასრულების ვადად მითითებული იყო 2022 წლის 28 ივლისი. კომპონენტი შეფასებულია როგორც „ მეტწილად შესაბამისი".
მონიტორინგის ვიზიტის დროს (2022 წლის 22 აგვისტოს) სახანძრო უსაფრთხოების სისტემა კვლავ არასრულად ფუნქციონირებდა, კერძოდ, დაწესებულების პირველ კორპუსში, სადაც მოხდა სართულის დაშენება, სახანძრო უსაფრთხოების ნორმების შემოწმება ჯერ არ განხორციელებულა, ვინაიდან აქ ჯერ კიდევ მიმდინარეობს სამუშაოები, დაწესებულების განმარტებით, ვინაიდან შენობას დაემატა სართული, მთლიანი კორპუსი დაექვემდებარა სახანძრო უსაფრთხოების ახალი ნორმებისა და ვალდებულებების შესრულებას, რაც გულისხმობს ოთხსართულიან შენობაში ახალი მოთხოვნების შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო წყლით მომარაგების სისტემის მონტაჟს, შეფერხების მიზეზი გახდა რესურსების მომწოდებელი კომპანიების მიერ რესურსების იმპორტირებასთან დაკავშირებული ხარვეზები, რა დროსაც რიგ შემთხვევებში შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს (შენობის მეიჯარეს) მოუწია შეეცვალა მომწოდებლები. ხარვეზები აღმოიფხვრა, თუმცა შეფერხდა სამუშაოები. დაწესებულებამ ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოადგინა ლიცეუმის დირექტორის 2022 წლის 22 აგვისტოს №01-03/12 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან ლიცეუმის შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც, სახანძრო უსაფრთხოების სისტემის დასრულება მოხდება არაუგვიანეს 2023 წლის 15 თებერვლისა. **რეკომენდაცია არ არის შესრულებული**

3. **შესაბამისობის რეკომენდაცია - 5.2.1.4. - პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;**
წინა ვიზიტის პერიოდში (2022 წლის 23, 24 და 25 თებერვალი) ექპერტთა ჯგუფის შეფასებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დაწესებულების დამხმარე პროცესებს აფასებს კომპლექსურად, თუმცა ამ შეფასებაში ნაკლებად ჩანს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის შეფასება. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, ლიცეუმის წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის გეგმა (№01-03/2; 24.02.2022წ.) ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სრულად იმპლემენტაციის მიზნით, რომლის პირველი აქტივობა გულისხმობდა ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებების სრულად იმპლემენტაციას.

მიმდინარე მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა ტექნოლოგიური უზრუნველყოფისა და კომუნიკაციის სამსახურის 2022 წლის 30 ივნისის „საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტიანობის შეფასების ანგარიში", რომელიც ეხება 2022 წლის 07 მარტიდან 18 აპრილამდე შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმის სასწავლო/სამუშაო მიზნებისთვის განთავსებული კომპიუტერული ტექნიკის შემოწმებას. შემოწმებამ აჩვენა, რომ კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც განთავსებული იყო I კორპუსის I სართულზე №1



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

კომპიუტერულ კლასში მოძველებულია, მუშაობდა შეფერხებით და ექვემდებარებოდა განახლებას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყდა-კომპიუტერული ტექნიკის ჩამოწერა, რაზეც შედგა ჩამოწერის აქტი. მიღებული აქტის საფუძველზე მოხდა რეაგირება საფინანსო სამსახურის მიერ და შეძენილი იქნა პერსონალური (UM.QW0EE.A04 Acer 60CM 23.8" W, HA240YABI) 88 ერთეული ახალი კომპიუტერული ტექნიკა, აღჭურვილია სამუშაო/სასწავლო მიზნებისთვის აღჭურვილი პროგრამებით, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული ტექნიკის მუდმივ შესაბამისობას საგანმანათლებლო პროცესებთან და ინფორმაციის დაცულობას. აღნიშნულ ანგარიშს თან ერთვის მიღება ჩაბარების აქტი და საგადასახადო ანგარიშფაქტურა.
დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა 2022 წლის აპრილში ჩატარებული კმაყოფილების კვლევების შედეგები და ანალიზი, რომლის შესაბამისადაც შეფასდა პროფესიული სტუდენტების, პროფესიული მასწავლებლებისა და დაწესებულების პერსონალის კმაყოფილება საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის მიმართულებით.
**რეკომენდაცია შესრულებულია.**

**4. შესაბამისობის რეკომენდაცია - 5.2.2.2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;**
წინა ვიზიტის დროს (2022 წლის 23, 24 და 25 თებერვალი) ლიცეუმში არ გამოიყენებოდა საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა. აღნიშნულის დანერგვის მიზნით დაწესებულებას დაწყებული ჰქონდა მუშაობა, რაც ასახული იყო წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის (ბრძანება №01-03/2; 24.02.2022წ.) მესამე აქტივობაში და შესრულების ვადად მითითებული იყო 2022 წლის 28 ივლისი.
მონიტორინგის ვიზიტის დროს გაირკვა, რომ 2022 წლის ივნისიდან დაწესებულებაში მოქმედებს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა - eDocument, დაწესებულებამ ასევე უზრუნველყო თანამშრომელთათვის ტრენინგის ჩატარება ამ მიმართულებით. **რეკომენდაცია შესრულებულია.**

**5. შესაბამისობის რეკომენდაცია - 5.2.3.1 პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს; 5.2.3.2 დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;**
წინა ვიზიტის დროს (2022 წლის 23, 24 და 25 თებერვალი) ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ლიცეუმს დაწყებული ჰქონდა მუშაობა ვებგვერდის სრულყოფის მიზნით და აღნიშნული გაწერილი იყო ლიცეუმის მიერ წარმოდგენილი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმაში (ბრძანება №01-03/2; 24.02.2022წ.) აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრული იყო 2022 წლის 28 ივლისი.
ლიცეუმის დირექტორის მიერ 2022 წლის 4 ივლისს დამტკიცდა ოფიციალური ვებგვერდის შეფასებისას გამოვლენილი შენიშვნების/რეკომენდაციების მიხედვით მაკორექტირებელ ქმედებათა შესრულების გეგმა, რითიც განისაზღვრა ვებგვერდთან დაკავშირებული შენიშვნები, მაკორექტირებელი ქმედებები, შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში, ექსპერტთა მიერ დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ლიცეუმი უკვე სარგებლობს ახალი, რეგულარულად განახლებადი ვებ-გვერდით: https://www.liceum.bntu.edu.ge/, სადაც განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, დაწესებულების საქმიანობის, სტრუქტურის, პროგრამების შესახებ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი აქტები, ინფორმაცია ლიცეუმის მისიის, ხედვის, ღირებულებების შესახებ და ა.შ. ვებგვერდი ფუნქციონირებს ინგლისურ ენაზეც. **რეკომენდაცია შესრულებულია.**

## VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

-

## IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ლიცეუმში მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების საფუძველი იყო წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება. ერთ-ერთ რეკომენდაციას წარმოადგენდა, სწორედ, სახანძრო უსაფრთხოების სისტემის გამართული ფუნქციონირება დაწესებულების სარგებლობაში არსებულ ტერიტორიაზე.
მონიტორინგის ვიზიტის დროს (2022 წლის 22 აგვისტოს) სახანძრო უსაფრთხოების სისტემა კვლავ არასრულად ფუნქციონირებდა, კერძოდ, დაწესებულების პირველ კორპუსში, სადაც მოხდა სართულის დაშენება და მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, (განთავსებულია ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, სველი წერტილები, სტუდენტური სივრცე) სახანძრო უსაფრთხოების ნორმების შემოწმება ჯერ არ განხორციელებულა, ვინაიდან აქ ჯერ კიდევ მიმდინარეობს სამუშაოები, დაწესებულების განმარტებით, ვინაიდან შენობას დაემატა სართული, მთლიანი კორპუსი დაექვემდებარა სახანძრო უსაფრთხოების ახალი ნორმებისა და ვალდებულებების შესრულებას, რაც გულისხმობს ოთხსართულიან შენობაში ახალი მოთხოვნების შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო წყლით მომარაგების სისტემის მონტაჟს, შეფერხების მიზეზი გახდა რესურსების მომწოდებელი კომპანიების მიერ რესურსების იმპორტირებასთან დაკავშირებული ხარვეზები, რა დროსაც რიგ შემთხვევებში შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს (შენობის მეიჯარეს) მოუწია შეეცვალა მომწოდებლები. ხარვეზები აღმოიფხვრა, თუმცა შეფერხდა სამუშაოები. დაწესებულებამ ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოადგინა ლიცეუმის დირექტორის 2022 წლის 22 აგვისტოს №01-03/12 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან ლიცეუმის შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც, სახანძრო უსაფრთხოების სისტემის დასრულება მოხდება არაუგვიანეს 2023 წლის 15 თებერვლისა.
**შესაბამისად, ინდიკატორი 5.1.2.1. შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, წარმოადგინოს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

ამასთან, დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა კომპეტენტურ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა მის სარგებლობაში არსებული ერთი შენობისათვის (II კორპუსი), რაც შეეხება I კორპუსს, სადაც მოხდა სართული დაშენება და ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები (სახანძრო უსაფრთხოებისათვის საჭირო ხანძარსაწინააღმდეგო წყლით მომარაგების სისტემის მონტაჟი), დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმის (№01-03/12; 22.08.2022წ.) შესაბამისად, დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა კომპეტენტურ ორგანოსთან შეთანხმდება არაუგვიანეს 2023 წლის 15 თებერვლისა.

**ამდენად, ექსპერტთა მიერ ინდიკატორი 5.1.2.3. შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, წარმოადგინოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან და დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ;**

## X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

–

## XI. სტანდარტების შეფასება

**5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**

**5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**5.1.1** პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ლიცეუმი შპს ,,ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტთან“ 2022 წლის 29 ივლისს გაფორმებული N1 ხელშეკრულებისა და 2022 წლის 22 აგვისტოს №1 შეთანხმების (2022 წლის 29 ივლისის იჯარის ხელშეკრულება №1-ში საიჯარო ფართით, ინვენტარითა ქონებით სარგებლობის შესახებ, ცვლილების განხორციელების შესახებ) საფუძველზე სასწავლო პროცესის წარმართვისათვის სარგებლობის უფლებით (იჯარა) ფლობს ქ. ბათუმში, თამარ მეფის გამზირი №38-ში მდებარე 812,9 კვ.მ შენობასა (II კორპუსი) და ინვენტარს და ასევე, ამავე მისამართზე არსებული №1 კორპუსის შემდეგ აუდიტორიებს: №2 (39 კვ.მ), №3 (43 კვ.მ), №6 (36 კვ.მ), №7 (39კვ.მ), №8 (40კვ.მ), №9 (35კვ.მ), №10 (36კვ.მ), №12 (56 კვ.მ) და №21 (52კვ.მ) და ინვენტარს. ხელშეკრულება ძალაშია 2032 წლის 29 ივლისამდე. აღნიშნული იჯარის თაობაზე წარმოდგენილია ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

პროფესიული პროგრამებისთვის ლიცეუმი იყენებს თანამედროვე ტექნიკით და ინვენტარით აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიებს, პერსონალის სამუშაო ოთახებს, ბიბლიოთეკას (წიგნადი ფონდი (ბეჭდური და ელ. მატარებლებზე), სასწავლო ფილმოთეკა და აუდიო-მასალები, თვალსაჩინოებები, საერთაშორისო Witherbys Seamenship Library; Openbiblio.ge ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობა), სახელოსნოებს, ელექტროტექნიკურ ლაბორატორიას, ლინგოფონის კაბინეტს, კომპიუტერულ ცენტრებს, სასწავლო-საწვრთნელ გემ „ელიტას“, ლაბორატორიებს: ქიმიის; ფიზიკის; მაღალი ძაბვის ლაბორატორია; ზღვის დაბინძურების თავიდან აცილების საწვრთნელი ლაბორატორია; სიმულატორებს - კოლექტიური სამაშველო საშუალებების ტრენაჟორი; ხმელეთზე განლაგებული ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორი; Fire-Fighting Training Facility (სანაპირო ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორი); Elementary First Aid (პირველადი სამედიცინო დახმარების კურსის კაბინეტი); Fire prevention and Fire Fighting (ხანძრის თავიდან აცილება და ხანძართან ბრძოლის კურსის კაბინეტი); Personal Safety and social responsibilities (პირადი უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის კურსის კაბინეტი); Personal Survival Techniques (პირადი გადარჩენის ტექნიკის კაბინეტი).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

ლიცეუმში პერიოდულად ტარდება მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, რის დასტურადაც წარმოდგენილია ინვენტარიზაციის ჩატარების თაობაზე ლიცეუმის დირექტორის 2022 წლის 20 ივნისის N01-07/34 ბრძანება, ინვენტარიზაციის აქტი და შედეგების ამსახველი დოკუმენტები.
ლიცეუმი განთავსებულია ორ კორპუსში, საიდანაც I კორპუსში მოწყობილია: ფოიე, თეორიული სწავლების აუდიტორიები (A გარემო), კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ფართი (B გარემო), ადმინისტრაციული სივრცე, სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის, სამუშაო და დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა სპორტულ/შემოქმედებითი საქმიანობისათვის, ბიბლიოთეკა, არქივი, სამედიცინო კაბინეტი ინდივიდუალური სველი წერტილები როგორც ქალებისთვის ისე მამაკაცებისათვის, მათ შორის შშმ პირებისათვის. ხოლო II კორპუსში - თეორიული სწავლების აუდიტორიები (A გარემო), კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ფართი (B გარემო), დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტები, პროფესიულ სტუდენტთა საცხოვრებელი და სველი წერტილები.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.1. დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;**

2. ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს 2019 წლის 11 იანვრის № 3 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „შინაგანაწესის“ 26-ე მუხლი არეგულირებს ლიცეუმის მატერიალურ-ტექნიკური რესურსით სარგებლობის მექანიზმებს. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინფრასტრუქტურა, ტერიტორია, შენობა-ნაგებობანი, მოწყობილობები, ინვენტარი და ტექნიკური აღჭურვილობა, ბიბლიოთეკა, ლინგაფონის და სხვა კაბინეტები, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა, სპეციალური კომპიუტერული პროგრამები, საერთაშორისო ონლაინ ბიბლიოთეკა და სხვა მატერიალური ფასეულობანი, და სხვ. განკუთვნილია პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის სასწავლო, შემეცნებითი, შემოქმედებითი საქმიანობისთვის. მატერიალურ ტექნიკური რესურსებით დანიშნულებისამებრ სარგებლობა შეუზღუდავად თანასწორ პირობებში შეუძლიათ პროფესიულ სტუდენტებს, ადმინისტრაციულ, დამხმარე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულ პერსონალს. დაუშვებელია ლიცეუმის პროფესიული სტუდენტის ან პერსონალის მიერ ლიცეუმის სხვა პროფესიული სტუდენტისთვის ან პერსონალისთვის შენობით, ბიბლიოთეკის ფონდებით და სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა. გამორიცხულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების ისეთი წესების შემოღება, რამაც შეიძლება შექმნას ცენზურის დაწესების საფრთხე ან შეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება. მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით სარგებლობის უფლების ერთადერთ შეზღუდვას წარმოადგენს მათი გამოყენება კანონსაწინააღმდეგო საქმიანობისთვის.
2022 წლის 18-20 აპრილს ლიცეუმში ჩატარდა პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, მათ შორის, მატერიალური რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებით. გამოკითხულ იქნა 215 რესპოდენტი. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ლიცეუმში არის პროფესიულ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

სტუდენტთა განვითარებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსი. ლიცეუმის პროფესიული სტუდენტები დადებითად აფასებენ ლიცეუმის მატერიალურ და ტექნიკურ რესურსებს.
პროფესიულმა სტუდენტებმა ექსპერტებთან გასაუბრებისას დაადასტურეს კმაყოფილება დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მაღალ ხარისხთან და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.

**ამდენად, ინდიკატორი 5.1.1.2. დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;**

3. ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს 2019 წლის 11 იანვრის №3 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული აქვს „ტექნიკური რეგლამენტი - წყალი, სანიტარია და ჰიგიენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში“, რომელიც არეგულირებს ლიცეუმში წყლის მარაგების მართვის საკითხებს, განსაზღვრულია მოთხოვნები სანიტარიული და ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფისადმი, ასევე მოთხოვნები დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის უზრუნველყოფისადმი. ლიცეუმის შენობები უზრუნველყოფილია გამიჯნული სველი წერტილებით. ყველა შენობაში დაცულია სანიტარული ნორმები. დაწესებულებას ჰყავს ორი დამლაგებელი. სამეურნეო სამსახურის ხელმძღვანელი აკონტროლებს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას, რაც გაწერილი აქვთ ხელშეკრულებაში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სადეზინფექციო სამუშაოების განხორციელების განრიგი, სადაც განსაზღვრულია სივრცეების დასუფთავების განრიგი და დასტურდება აღნიშნული სამუშაოების განმახორციელებელი პირის ხელმოწერით და სანიტარული მდგომარეობის შემოწმების ჟურნალი. აღნიშნული შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ დასუფთავების პერიოდულობასთან. ლიცეუმში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა აგრეთვე დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დათვალიერებითა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებისას.

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 5.1.1.3. დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;**

4. ლიცეუმის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ორივე შენობა ორივე აღჭურვილია ცენტრალური გათბობის სისტემით. ლიცეუმში გათბობის სისტემის გამართული ფუნქციონირება აგრეთვე დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დათვალიერებითა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას. ლიცეუმის მიერ ასევე წარმოდგენილია კომუნალური გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

5. ლიცეუმს ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც 2019 წელს სერტიფიცირებულია შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით და უფლებამოსილია 3 წლის ვადით განახორციელოს პროფესიული საქმიანობა. ლიცეუმში შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ასევე, ლიცეუმის დირექტორის 2022 წლის 10 აგვისტოს №01-03/10 ბრძანებით დამტკიცებულია „შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა“, რომლის მიხედვითაც ლიცეუმი, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულება, იღებს პასუხისმგებლობას დაიცვას საკუთარი პერსონალის, პროფესიული სტუდენტების, ასევე ლიცეუმში მყოფი პირების უსაფრთხოება და მოვალეა მიიღოს ზომები ისეთი გარემოებების აღსაკვეთად, რომელიც საფრთხის ქვეშ აყენებენ ლიცეუმის შენობაში და ტერიტორიაზე მყოფ პირთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას. ლიცეუმის სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზების სფეროებს შორისაა შრომის, სწავლა-სწავლების და კვლევის გარემოს ორგანიზება და უსაფრთხოება. ლიცეუმი მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, აღიარებს საერთაშორისო კონვენციების სოციალურ პრინციპებს, ქმნის შრომის, სწავლის და კვლევის უსაფრთხო გარემოს, პასუხისმგებლობით ეკიდება აღებული ვალდებულებების შესრულებას. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ძირითადი მიზანია ლიცეუმში „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების დაცვა, რომლის მიზანია იმ ძირითადი მოთხოვნებისა და პრევენციული ღონისძიებების ზოგადი პრინციპების განსაზღვრა, რომლებიც უკავშირდება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების საკითხებს, არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას, დასაქმებულთა სწავლებას, მათთვის ინფორმაციის მიწოდებასა და კონსულტაციის გაწევას და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში დასაქმებულთა თანაბარ მონაწილეობას.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ლიცეუმის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს, რომლიც სრულფასოვნად ფლობდა შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებდა ლიცეუმში შრომის უსაფრთხოების მართვასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს. რის დასტურადაც წარმოდგენილია შრომის უსაფრთხოების მიმართულებით რისკების მართვის შეფასების დოკუმენტები, პერსონალის ინსტრუქტაჟისა და ტრენინგმოდულების განხორციელების მტკიცებულებები, მათ შორის, ინსტრუქტაჟის ჩატარების აღრიცხვის ჟურნალი, ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟების აღრიცხვის ჟურნალი, სწავლების გეგმა.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.**

6. ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს 2022 წლის 20 მაისის №9 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვისა და ამ რესურსებით სარგებლობის წესის“ მე-3 მუხლში აღწერილია სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები, რის მიხედვითაც საგანმანათლებლო პროგრამებში შემავალი მოდულების განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარის, მასალებისა და ნედლეულის ნუსხას ადგენს სასწავლო პროცესის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

მართვის სამსახური პროფესიული განათლების მასწავლებელთან/პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად და შესყიდვის მიზნით წარუდგენს ლიცეუმის დირექტორს მოდულის დაწყებამდე არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით შესაძლებელია მასალა-ნედლეული შესყიდულ იქნას სასწავლო პროცესის დაწყებამდე წელიწადში ერთხელ ან ნაწილობრივად მოხდეს მარაგის შევსება, რა დროსაც დაცული უნდა იქნეს მასალა-ნედლეულის შენახვის ვადები და პირობები. პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის სასწავლო მიზნებისათვის განკუთვნილი ინვენტარის, მასალებისა და ნედლეულის გადაცემას ახორციელებს სამეურნეო სამსახურის პერსონალი უშუალოდ მოდულის დაწყებამდე და ახდენს გაცემული მასალა-ნედლეულის/ინვენტარის შესაბამის ჟურნალში აღრიცხვას, რაც დასტურდება მიმღების (მოდულის განმახორციელებელი პირის) ხელმოწერით და მიღება - ჩაბარების აქტით. პროგრამის/შესაბამისი კომპონენტის დასრულებისას ხორციელდება გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ ანგარიშგება და საჭიროების შემთხვევაში, გაუხარჯავი მასალებისა და ნედლეულის დაბრუნება, რაც ასევე აღირიცხება შესაბამის ჟურნალში მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერის მიერ.

ამავე წესის მე-4 მუხლით განსაზღვრულია სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის/პროექტის შენახვისა და განკარგვის წესი, რომლის შესაბამისადაც, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი/პროექტი, რომელიც წარმოადგენს შეფასების მტკიცებულებას, ინახება ლიცეუმში შეფასების უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, რის შემდეგაც ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით ან რჩება ლიცეუმში საგანმანათლებლო მიზნებისათვის ან გადაეცემა ავტორს. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი, რომელიც არის მალფუჭებადი და განკუთვნილია კონკრეტული მოდულის შედეგის დადასტურებისათვის, ასეთი შემთხვევებისთვის შესრულების მტკიცებულებების დასადასტურებლად კონკრეტული პროდუქტისათვის ივსება სპეციალური ფორმულარი (ფორმულარში მითითებულია მოდული, შედეგი, შემსრულებელი, მოდულის განმახორციელებელი პირი, რიცხვი და სხვა) და ხდება პროდუქტის ფოტოგრაფირება/ვიდეოგადაღება. ფორმულარი ფოტო/ვიდეო მასალასთან ერთად ლიცეუმში შეფასების უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, რის შემდეგაც ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით ან რჩება ლიცეუმში საგანმანათლებლო მიზნებისათვის ან გადაეცემა ავტორს, ხოლო მალფუჭადი პროდუქტი ნადგურდება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას შექმნილი ელექტრონული პროდუქტი (თუ ეს დაკავშირებულია სწავლის შედეგის დადასტურებასთან, ანუ წარმოადგენს შეფასების მტკიცებულებას), უნდა ჩაიწეროს ინფორმაციის ციფრულ მატარებელზე და ინახება ლიცეუმში შეფასების უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, რის შემდეგაც ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით/ან ინახება/სურვილის შემთხვევაში ასლი გადაეცემა კურსდამთავრებულს. სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის/პროექტის შენახვისას შესაძლებელი უნდა იყოს მისი ავტორ(ებ)ის/შემქმნელ(ებ)ის, შესრულების თარიღის იდენტიფიცირება. შეფასების მტკიცებულებები აღირიცხება იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათი მიკვლევადობა.

ლიცეუმში პროფესიული პროგრამების განხორციელების მიზნით გარკვეული ტექნოლოგიური პროცესის დროს წარმოშობილი ნარჩენების მართვა მიმდინარეობს საქართველოში ნარჩენების მართვის პოლიტიკასა და ნარჩენების მართვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობით არ არის დადგენილი გარკვეული ტიპის ნარჩენების მართვის წესები, მათი უტილიზაცია ხდება იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს და გარშემო მყოფ პირებს. ნარჩენების შეგროვებასა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

უტილიზაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამისი მოდულის განმახორციელებელს. უტილიზაციის პროცედურის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება ლიცეუმის დირექტორს.
ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს 2020 წლის 10 იანვრის №4 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია ნარჩენების უტილიზაციის წესი, რომელიც არეგულირებს ნარჩენების შეგროვების, დახარისხების, დაფასოებისა და გატანის პროცედურებს. განსაზღვრულია ნარჩენების უტილიზაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირები.
ლიცეუმის მიერ წარმოდგენილია მასალა-ნედლეულის მოთხოვნისა და მიწოდების მტკიცებულებები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულების მიხედვით.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას დათვალიერდა სასწავლო გარემო, მასალა-ნედლეული და განხორციელდა ინტერვიურება პროფესიულ სტუდენტებთან, რომელთაც დაადასტურეს სასწავლო პროცესში მასალა-ნედლეულის საკმარისობა.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.6 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.**

7. ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს 2019 წლის 11 იანვრის №3 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევის მეთოდოლოგიის“ 2.5 კომპონენტით განსაზღვრულია მონიტორინგის სისტემა, მიდგომები და პროცედურები, რის მიხედვით მონიტორინგის II ჯგუფი ითვალისწინებს „საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლების და სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და სტრუქტურირებას“, რაც მოიცავს ინფორმაციის შეგროვებას ლიცეუმში არსებული ფიზიკური გარემოს, ინფრასტრუქტურის, აღჭურვილობის, მატერიალურ-ტექნიკური და ბიბლიოთეკის რესურსების მდგომარეობის, საკმარისობისა და ხელმისაწვდომობის, პროგრამების განმახორციელებელთა და სტუდენტთა კონტინგენტის ცვლილებების დინამიკის შესახებ, და/ან სხვ. შესასწავლი ასპექტის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიძლება იყოს გამოყენებული: მონაცემების შესწავლა; ვიზუალური დათვალიერება; სტანდარტებთან/ინსტრუქციებთან შედარება; განცხადებების/ინიციატივების განხილვა; პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა/პროფესიულ მასწავლებელთა, სხვ. გამოკითხვა/ზეპირი გასაუბრება; სხვ. ლიცეუმის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილია ლიცეუმის ძირითადი და დამხმარე პროცესების ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მონიტორინგის, შეფასების, ანგარიშგებისა და პროცესების გაუმჯობესების რეკომენდაციების მტკიცებულებები.
აღნიშნული მექანიზმების ეფექტიანობა ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე გადამოწმებულია ლიცეუმის პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.7 დაკმაყოფილებულია, ლიცეუმის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.**

8. ლიცეუმის სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობის ორივე კორპუსში (სასწავლო კორპუსი, სახელოსნოები და სხვ.) უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათების შესაძლებლობა და ელექტროენერგიის უწყვეტი მიწოდება. შენობები უზრუნველყოფილია გამიჯნული სველი წერტილებით, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სველ წერტილებს დღეში ორჯერ უტარდება დეზინფექციური დასუფთავება. ასევე სველ წერტილებში განთავსებულია საპნის რეზერვუარები და ხელსახოცის კონტეინერები. შექმნილია ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის, მათ შორის: შენობის ცენტრალურ კიბეზე - პანდუსი და სხვ. შშმ პირებისათვის ადაპტირებული სველი წერტილები მოწყობილია დაწესებულების I კორპუსში, თუმცა ადვილადაა ხელმისაწვდომი II კორპუსში მყოფი პირებისთვისაც, ვინაიდან II კორპუსი მდებარეობს ძალიან ახლოს I კორპუსთან. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ ვიზიტის პერიოდში შენობებში მიმდინარეობდა ლიფტის მონტაჟი, რომელიც უშუალოდ დააკავშირებს ერთმანეთთან ორივე კორპუსს.
თითოეულ სველ წერტილთან განთავსებულია ჰიგიენის საშუალებები, ქაღალდის პირსახოცის დისპანსერი, ასევე ნარჩენების უკონტაქტო კალათა. ლიცეუმის მიერ წარმოდგენილია „სამუშაო ადგილების, სამუშაო სივრცისა და გამოყენებული სამუშაო აღჭურვილობების დეზინფექციის
ჩატარების გრაფიკი“, სველი წერტილების დასუფთავების განრიგი და სანიტარული მდგომარეობის შემოწმების ჟურნალი, სადაც მოცემულია ინფორმაცია დეზინფექციისა და დასუფთავების ჩატარების შესახებ, რაც დასტურდება პასუხისმგებელი პირებით ხელმოწერით.
ლიცეუმს არ ჰყოლია შშმ სტუდენტები, თუმცა მათი არსებობის შემთხვევაში, ლიცეუმში ხელმისაწვდომია შესაბამისი პირობები.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.**

9. ლიცეუმის სარგებლობაში არსებულ სასწავლო ფართს ორივე კორპუსში, მათ შორის, ბიბლიოთეკასა და სტუდენტურ სივრცეს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. წინა ვიზიტის პერიოდში (2022 წლის 23, 24 და 25 თებერვალი) ბიბლიოთეკაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო, ექსპერტებმა ინდიკატორი შეაფასეს როგორც „მეტწილად შესაბამისი“, მონიტორინგის ვიზიტის დროს (22.08.2022წ.) ბიბლიოთეკაში სარემონტო სამუშაოები დასრულებული იყო და ბიბლიოთეკა აღჭურვილი იყო სათანადოდ,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 5.1.1.9. დაკმაყოფილებულია, ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;**

10. ლიცეუმის სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობის ორივე კორპუსში გამიჯნულია ერთმანეთისაგან დამხმარე და სასწავლო ფართი. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას. დაწესებულებას აქვს ფოიე, თეორიული სწავლების აუდიტორია /აუდიტორიები, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ფართი, ადმინისტრაციული სივრცე, სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის, სამუშაო და დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა სპორტულ/შემოქმედებითი საქმიანობისათვის, სანიტარიული კვანძები, ბიბლიოთეკა, დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი
კაბინეტი/ები/სახელოსნო/ები, სივრცე არქივისთვის.
ლიცეუმის სივრცეები ერთმანეთში არ არის გამავალი და მათი განლაგება ხელს უწყობს ლიცეუმის საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.10 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.**

11. ლიცეუმში საბიბლიოთეკო საქმეს წარმართავს კვალიფიციური ბიბლიოთეკარი. საბიბლიოთეკო საქმიანობა რეგულირდება ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს 2022 წლის 20 მაისის №9 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საბიბლიოთეკო რესურსების მართვისა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით“, რომელიც განსაზღვრავს ლიცეუმში ბიბლიოთეკის მიზანს, ფუნქციებს, სამუშაო განრიგს, სტრუქტურას, საბიბლიოთეკო სერვისებს, ადგენს საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის წესს და აწესრიგებს ბიბლიოთეკის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. ლიცეუმის ბიბლიოთეკა ასრულებს საგანმანათლებლო პროცესის მხარდამჭერის ფუნქციას და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სტუდენტთა მოქალაქეობრივი, კულტურული გამომხატველობისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის საკვანძო კომპეტენციების განვითარებაში. წესში განსაზღვრულია ბიბლიოთეკაში მკითხველთა რეგისტრაციის, წიგნის გატანისა და დაბრუნების, ბიბლიოთეკაში ქცევისა და ბიბლიოთეკის მკითხველის სტატუსის შეწყვეტის პირობები. დაწესებულების მიერ განსაზღვრული დებულებები არ არღვევს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის უფლებებს.
ბიბლიოთეკა მდებარეობს ლიცეუმის სარგებლობაში არსებული შენობის I კორპუსში. მკითხველს შეუძლია წიგნიდან საჭირო ადგილების ან/და წიგნიდან ასლის გადაღება, თუ ასეთი მოქმედება არ გამოიწვევს წიგნის დაზიანებას ან განადგურებას. დაწესებულების ბიბლიოთეკაში დაცულია წიგნადი ფონდი, სპეციალური რუკები, თვალსაჩინო მასალა, აუდიომასალები და ვიდეოთეკა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

(საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის შესაბამისი აუდიო და ვიდეომასალა), რომელიც ხელმისაწვდომია მომხმარებლისთვის. დღეისათვის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მოიცავს 17 942 ერთეულს. მუდმივად მიმდინარეობს წიგნადი ფონდის განახლება-შევსება, თანამედროვე სახელმძღვანელოების შეძენა და იმ სასწავლო კურსების რიდერების/სასწავლო მასალების მომზადება და სახელმძღვანელოების თარგმნა, სადაც შეინიშნება ქართულ ენაზე არსებული ლიტერატურის სიმწირე და/ან მოძველებულობა. ბიბლიოთეკის ფონდით სარგებლობის და სასწავლო პროცესის გამარტივების მიზნით გრძელდება ბიბლიოთეკის ფონდში არსებული სახელმძღვანელოების, სასწავლო და საილუსტრაციო მასალის ელ. ფორმატში გადაყვანა. თანამედროვე მასალების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია Witherbys Seamanship Library საერთაშორისო ბიბლიოთეკით ონლაინ რეჟიმში შეუზღუდავი სარგებლობით. ბიბლიოთეკის საგანმანათლებლო რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. არსებობს საბიბლიოთეკო პრინციპით მოწესრიგებული ბეჭდური და ელექტრონული კატალოგები.
ლიცეუმს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტთან გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე აქვს წვდომა კომპიუტერულ საინფორმაციო-საძიებო პროგრამასთან - „კოდექსი 2007“.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.11 დაკმაყოფილებულია, მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. უძრავი ქონების საკუთრების მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია - შპს ,,ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტთან“ 2022 წლის 29 ივლისს გაფორმებული N1 ხელშეკრულება და 2022 წლის 22 აგვისტოს №1 შეთანხმება, 2022 წლის 29 ივლისის იჯარის ხელშეკრულება №1-ში საიჯარო ფართით, ინვენტარითა ქონებით სარგებლობის შესახებ, ცვლილების განხორციელების შესახებ;
2. შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი;
3. მოძრავი ქონების, მათ შორის სასწავლო რესურსის, ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
4. ელექტროენერგიის, წყლისა და ბუნებრივი აირის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები;
5. ინვენტარის აღწერა/განახლება/შეკეთების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
6. ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს 2019 წლის 11 იანვრის № 3 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „შინაგანაწესი“;
7. ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს 2019 წლის 11 იანვრის №3 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - წყალი, სანიტარია და ჰიგიენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში“;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

8. ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს 2022 წლის 20 მაისის №9 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვისა და ამ რესურსებით სარგებლობის წესი“;
9. ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს 2020 წლის 10 იანვრის №4 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული ნარჩენების უტილიზაციის წესი;
10. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასება (20.05.2022წ.)
11. ლიცეუმის დირექტორის 2022 წლის 10 აგვისტოს №01-03/10 ბრძანებით დამტკიცებულია „შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა“
12. შრომის უსაფრთხოების მიმართულებით ინსტრუქტაჟის ჩატარების აღრიცხვის ჟურნალი, ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟების აღრიცხვის ჟურნალი, სწავლების გეგმა;
13. შევსებული სპეციალური ფორმა, რომლითაც დასტურდება შემდეგი სივრცეების/ფართების ფლობა: ფოიე, თეორიული სწავლების აუდიტორია /აუდიტორიები, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ფართი, ადმინისტრაციული სივრცე, სამუშაო სივრცე, პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის, სამუშაო და დასასვენებელი სივრცე, მოსწავლე/პროფესიული სტუდენტებისათვის, მათ შორის მოსწავლეთა/პროფესიულ სტუდენტთა სპორტულ/შემოქმედებითი საქმიანობისათვის, სანიტარიული კვანძები, ბიბლიოთეკა, დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტი/ები/სახელოსნო/ები, სივრცე არქივისთვის;
14. ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს 2022 წლის 20 მაისის №9 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საბიბლიოთეკო რესურსების მართვისა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“;
15. ბიბლიოთეკის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;
16. ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს 2022 წლის 20 იანვრის №8 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“;
17. სამუშაო ადგილების, სამუშაო სივრცისა და გამოყენებული სამუშაო აღჭურვილობების დეზინფექციის ჩატარების გრაფიკი, სველი წერტილების დასუფთავების განრიგი და სანიტარული მდგომარეობის შემოწმების ჟურნალი;
12. კომპიუტერულ საინფორმაციო-საძიებო პროგრამასთან - „კოდექსი 2007“ წვდომის აქტი;
13. ლიცეუმის დირექტორის 2022 წლის 22 აგვისტოს № N01-03/12 ბრძანებით დამტკიცებული „ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა“.

**5.1.2** პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ლიცეუმს წარმოდგენილი აქვს საექსპერტო დასკვნა სარგებლობაში არსებული შენობის ორივე კორპუსის მდგრადობის შესახებ (საექსპერტო დასკვნა ქ. ბათუმში თამარ მეფის გამზირი №38-ში, შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის შენობების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ 03.08.2018წ.), რომლის შესაბამისადაც შესწავლილი შენობების (მათ შორის, ლიცეუმის სარგებლობაში არსებული ორი კორპუსის) ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და უზრუნველყოფილია მათი საერთო მდგრადობა, სიმტკიცე და შემდგომი უსაფრთხო ექსპლუატაცია.

დაწესებულების მეორე კორპუსისთვის (რომელშიც განთავსებულია დაწესებულების ძირითადი სასწავლო გარემო და სტუდენტთა საცხოვრებელი) წარმოდგენილია სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი №132 (09.08.2022წ.) ე.წ. მიწერილობა.

რაც შეეხება პირველ კორპუსს, სადაც მოხდა სართულის დაშენება, სახანძრო უსაფრთხოების ნორმების შემოწმება ჯერ არ განხორციელებულა, ვინაიდან აქ ჯერ კიდევ მიმდინარეობს სამუშაოები. დაწესებულების განმარტებით, ვინაიდან შენობას დაემატა სართული, მთლიანი კორპუსი დაექვემდებარა სახანძრო უსაფრთხოების ახალი ნორმებისა და ვალდებულებების შესრულებას, რაც გულისხმობს ოთხსართულიან შენობაში ახალი მოთხოვნების შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო წყლით მომარაგების სისტემის მონტაჟს, შეფერხების მიზეზი გახდა რესურსების მომწოდებელი კომპანიების მიერ რესურსების იმპორტირებასთან დაკავშირებული ხარვეზები, რა დროსაც რიგ შემთხვევებში შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს (შენობის მეიჯარეს) მოუწია შეეცვალა მომწოდებლები. ხარვეზები აღმოიფხვრა, თუმცა შეფერხდა სამუშაოები. დაწესებულებამ ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოადგინა ლიცეუმის დირექტორის 2022 წლის 22 აგვისტოს №01-03/12 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან ლიცეუმის შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც, სახანძრო უსაფრთხოების სისტემის დასრულება მოხდება არაუგვიანეს 2023 წლის 15 თებერვლისა.

დაწესებულების პერსონალი პერიოდულად გადის შესაბამის ინსტრუქტაჟს, რომლებსაც ატარებენ სპეციალური კვალიფიკაციის მქონე პირები. დაწესებულების შენობა-ნაგებობებში ყველა სართულზე (გარდა იმ სართულისა, სადაც მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები) თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, სადაც მითითებულია ძირითადი და სათადარიგო გასასვლელები, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებათა განლაგების ადგილები, სამედიცინო დახმარების პუნქტი და სხვა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.1 - დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები - მეტწილადაა დაკმაყოფილებული, ვინაიდან დაწესებულებაში არასრულად ფუნქციონირებს სახანძრო უსაფრთხოების სისტემა, კერძოდ, შენობა-ნაგებობების I კორპუსში არ არის დასრულებული სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მონტაჟი და სახანძრო უსაფრთხოების ნორმები არ არის შემოწმებული უფლებამოსილი ორგანოს მიერ.** *ლიცეუმის დირექტორის 2022 წლის 22 აგვისტოს N01-03/12 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან ლიცეუმის შესაბამისობის გეგმა, რომლიც მოიცავს ლიცეუმის მიერ იდენტიფიცირებული არასრული შესაბამისობის აღწერას, სტანდარტისა და კომპონენტის ნომერს, შესაბამისობის ტიპს (მეტწილი/ნაწილობრივი), შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა/ების დაწყების და დასრულების სავარაუდო თარიღებს, დროს (თვეებში), შეფასების მომენტიდან დასრულებამდე პასუხისმგებელი პირს/სტრუქტურულ ერთეულ, შემსრულებელსა და სხვა ჩართული მხარეებს (გარდა დაწესებულებისა), დაფინანსების წყაროს, დაფინანსების ოდენობას, მატერიალურ რესურსებსა და დამატებით საჭირო მატერიალურ რესურსებს, შესრულების ინდიკატორებს, დადასტურების წყაროს, რისკებსა და ამ რისკის დადგომის ალბათობას (%). ლიცეუმის სახანძრო უსაფრთხოების სისტემის სრული მონტაჟის დასრულების ვადად განსაზღვრულია 2023 წლის 15 თებერვალი.*

2. ლიცეუმში ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი, რომელსაც ხელმძღვანელობს სამედიცინო პუნქტის ხელმძღვანელი. ლიცეუმში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები რეგულირდება ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს 2022 წლის 20 მაისის №9 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ჯანმრთელობის დაცვისა და ექიმამდელი დახმარების წესები და პროცედურები“, რომელი განსაზღვრავს ლიცეუმში ჯანმრთელობის დაცვისა და ექიმამდელი დახმარების წესებსა და პროცედურებს, რაც აუცილებელია სტიქიური უბედურების, ხანძრის ან დაუძლეველი ძალის მოქმედების დროს ადამიანების გადაუდებელი დახმარების, გადამდები დაავადებების პრევენციის ან მათზე რეაგირების დროს მოქმედებების, ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის თავიდან აცილების მიზნით.

ლიცეუმში მოქმედებს სამედიცინო პუნქტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის აუცილებელი ინვენტარით, სამკურნალო საშუალებებითა და მასალებით, რომელთა ვარგისიანობა კონტროლდება. დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მედდა, რომელთანაც შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია 2022 წლის 1 მარტს. მედდის სამუშაო აღწერილობის შესაბამისად, მისი ფუნქციებია მოახდინოს ჯანმრთელობის პრობლემის იდენტიფიცირება, დაადგინოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების საჭიროება, უფლებამოსილია პირს გაუწიოს მხოლოდ პირველადი დახმარება (მაგ., ზედაპირული ტრავმების, გულის წასვლის, სუნთქვის პრობლემების, სისხლდენების, სიცხის, თავბრუსხვევის ან სხვ. შემთხვევები, რომელთა დადგომისას არ არსებობს საფრთხე პირის სიცოცხლისათვის), არ მოახდინოს და არ დაუშვას სხვა პირთა მიერ პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მცდელობა. გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესების გაცნობის მიზნით სპეციალური კომპეტენციის მქონე პირები (მოწვეული და ლიცეუმის პერსონალი) პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებს უტარებენ ტრენინგებს. სასწრაფო სამედიცინო დახმარების საჭიროების შემთხვევაში მედდა ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

სამედიცინო პუნქტში ინახება მომართვებისა და ინციდენტების მართვის ჟურნალი, რომელსაც აწარმოებს მედდა.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.**

3. ლიცეუმში ფუნქციონირებს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სამსახური. სამსახურის საქმიანობა რეგულირდება ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს 2022 წლის 20 მაისის №9 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“, რომელიც განსაზღვრავს შესაძლო საგანგებო სიტუაციების შედეგების თავიდან აცილების ან შემცირების ღონისძიებების მოცულობას, ვადებს, ორგანიზებისა და განხორციელების წესს. ასევე, ლიცეუმის თანამშრომელთა და მოსწავლეთა/პროფესიულ სტუდენტთა, მატერიალური ფასეულობათა დამაზიანებელი ფაქტორებისაგან დაცვის მიზნით გადაუდებელი ღონისძიებების შესრულებას. გეგმის შესაბამისად დამტკიცებულია საგანგებო შტაბი, რომელიც ახორციელებს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში შიდაუწყებრივი ნორმატიული აქტების შემუშავებას; რეაგირების ძალებისათვის მითითებების მიწოდებას და მათ კოორდინირებას; ზემდგომი უწყების მიერ განსაზღვრული დარგობრივი პოლიტიკის განხორციელებას, შესაბამისი რეკომენდაციის შემუშავებასა და ადრესატებამდე მიწოდებას; სამოქმედო ამოცანების დასახვას და გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშების მომზადებას; მხარდამჭერი ორგანიზაციების ტექნიკურ ექსპერტებთან თანამშრომლობას; მოკვლევისა და მონიტორინგის შედეგების მონაცემთა ბაზის წარმოებას; ფინანსური და მატერიალური რესურსების რეზერვების შექმნის ორგანიზებას.

ლიცეუმში არსებული, უფლებამოსული პირის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და საევაკუაციო გასასვლელები შეთანხმებულია უფლებამოსილ ორგანოსთან, თუმცა აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული გეგმა წარმოდგენილია მხოლოდ მის სარგებლობაში არსებული ერთი შენობისათვის (II კორპუსი), რაც შეეხება I კორპუსს, სადაც მოხდა სართული დაშენება და ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები (სახანძრო უსაფრთხოებისათვის საჭირო ხანძარსაწინააღმდეგო წყლით მომარაგების სისტემის მონტაჟი), დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმის (№01-03/12; 22.08.2022წ.) შესაბამისად, დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა კომპეტენტურ ორგანოსთან შეთანხმდება არაუგვიანეს 2023 წლის 15 თებერვლისა.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.3 - დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი - მეტწილადაა დაკმაყოფილებული.** *ლიცეუმის დირექტორის 2022 წლის 22 აგვისტოს N01-03/12 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან ლიცეუმის შესაბამისობის გეგმა, რომლიც მოიცავს ლიცეუმის მიერ იდენტიფიცირებული არასრული შესაბამისობის აღწერას, სტანდარტისა და კომპონენტის ნომერს, შესაბამისობის ტიპს (მეტწილი/ნაწილობრივი), შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა/ების დაწყების და დასრულების სავარაუდო თარიღებს, დროს*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

*(თვეებში), შეფასების მომენტიდან დასრულებამდე პასუხისმგებელი პირს/სტრუქტურულ ერთეულ, შემსრულებელსა და სხვა ჩართული მხარეებს (გარდა დაწესებულებისა), დაფინანსების წყაროს, დაფინანსების ოდენობას, მატერიალურ რესურსებსა და დამატებით საჭირო მატერიალურ რესურსებს, შესრულების ინდიკატორებს, დადასტურების წყაროს, რისკებსა და ამ რისკის დადგომის ალბათობას (%). საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის კომპეტენტურ პირთან/ორგანოსთან შეთანხმების ვადად განსაზღვრულია 2023 წლის 15 თებერვალი.*

4. ლიცეუმში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ  დაცვის სპეციალისტები. მათი ფუნქცია მოვალეობები გაწერილია თანამდებობრივ ინსტრუქციებში, რომლის შესაბამისადაც დაცვის სპეციალისტები ახორციელებენ პირთა შენობაში დაშვების კონტროლს, დაწესებულების შენობების შიდა და გარე პერიმეტრის დაცვას 24 საათის განმავლობაში, შენობაში წესრიგის დაცვას და ა.შ.
ლიცეუმში წესრიგის და უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები გაწერილია ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს 2019 წლის 11 იანვრის №3 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „შინაგანაწესის“ 27-ე მუხლში, რის მიხედვითაც გაწერილია ქცევის წესები, პასუხისმგებელი პირები და პასუხისმგებლობის ზომები, რაც არ არღვევს პირთა უფლებებს. წესრიგის დაცვა ხორციელდება ერთიანი სისტემის ფარგლებში: ფიზიკურ დაცვაში იგულისხმება დაცვის სამსახურის საქმიანობა, ტექნიკურ დაცვაში - ლიცეუმის ორივე კორპუსში, მთლიან შიდა (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტებისა, სანიტარული კვანძებისა  და დამხმარე სათავსოებისა) და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემა. დაცვის სამსახურის თანამშრომლები ვალდებულნი არიან აღკვეთონ წესრიგის დარღვევა, განსაკუთრებულ შემთხვევებში - დაუკავშირდნენ სამართალდამცავ ორგანოებს და გახსნან ვიდეოკამერების ჩანაწერები.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი №132 (09.08.2022წ.);
2. სახანძრო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
3. სახანძრო უსაფრთხოების სწავლების კურსის ანგარიში (31.03.2021წ.);
4. საექსპერტო დასკვნა შენობების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ;
5. ლიცეუმის დირექტორის 2022 წლის 22 აგვისტოს №01-03/12 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან ლიცეუმის შესაბამისობის გეგმა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

6. ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს 2022 წლის 20 მაისის №9 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ჯანმრთელობის დაცვისა და ექიმამდელი დახმარების წესები და პროცედურები“;
7. მედდასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება 2022 წლის 1 მარტს;
8. მედდის თანამდებობრივი ინსტრუქცია;
9. სამედიცინო და სამკურნალო საშუალებების მოთხოვნის შევსებული ფორმები, სამკურნალო საშუალებების შესყიდვისა და მედდისათვის გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მომართვებისა და ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალი;
10. ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს 2022 წლის 20 მაისის №9 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“ შეთანხმებული კომპეტენტურ ორგანოსთან;
11. ლიცეუმის დირექტორის 2022 წლის 20 მაისის №01-03/05 ბრძანება „ლიცეუმის საგანგებო შტაბის დაკომპლექტების შესახებ“;
12. რისკების შეფასების დოკუმენტი;
13. ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს 2019 წლის 11 იანვრის №3 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „შინაგანაწესი“
14. დაცვის სპეციალისტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და მათი თანამდებობრივი ინსტრუქციები;
15. ლიცეუმის ინფრასტრუქტურის დათვალიერებისა და პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**5.2 საინფორმაციო რესურსები**

**5.2.1** პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ლიცეუმში IT ტექნოლოგიები აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობით. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, მათ შორის - კომპიუტერული კლასები, ლინგოფონის და სიმულაციური კაბინეტები და სხვ. იძლევა ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვის შესაძლებლობას. არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა არის საგანმანათლებლო პროგრამებისა და მოთხოვნილი სტუდენტთა საერთო რაოდენობის შესაბამისი. ლიცეუმი იყენებს ელექტრონული სერვისების მართვის სისტემას, რომელშიც გაერთიანებულია სასწავლო პროცესის მართვის სერვისი. სასწავლო პროცესის სერვისში გათვალისწინებულია ლიცეუმის პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტების რეესტრი.
ლიცეუმში ხელმისაწვდომია, როგორც უკაბელო, ასევე კაბელიანი ინტერნეტი.
ლიცეუმში IT ინფრასტრუქტურის ეფექტიანი ფუნქციონირების ფასდება ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს მიერ 2022 წლის 20 მაისის №9 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურების“ მიხედვით, რომლის შესაბამისადაც, ლიცეუმი სისტემატიურად ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მონიტორინგს, რაც გულისხმობს IT ინფრასტრუქტურის ტექნიკურ შეფასებას და შეუსაბამობების აღმოფხვრას, ისე პროგრამულ უზრუნველყოფას. ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ლიცეუმში ხორციელდება რისკების მართვა, რაც აერთიანებს ლიცეუმის პასუხისმგებელი პირების გადაწყვეტილებებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ორგანიზაციის სტრატეგიულ დაგეგმვაზე, მმართველობასა და ყოველდღიურ ოპერირებაზე.
დაწესებულებამ წარმოადგინა ტექნოლოგიური უზრუნველყოფისა და კომუნიკაციის სამსახურის 2022 წლის 30 ივნისის „საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტიანობის შეფასების ანგარიში“, რომელიც ეხება 2022 წლის 07 მარტიდან 18 აპრილამდე შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმის სასწავლო/სამუშაო მიზნებისთვის განთავსებული კომპიუტერული ტექნიკის შემოწმებას. შემოწმებამ აჩვენა, რომ კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც განთავსებული იყო I კორპუსის I სართულზე №1 კომპიუტერულ კლასში მოძველებულია, მუშაობდა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

შეფერხებით და ექვემდებარებოდა განახლებას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყდა-კომპიუტერული ტექნიკის ჩამოწერა, რაზეც შედგა ჩამოწერის აქტი. მიღებული აქტის საფუძველზე მოხდა რეაგირება საფინანსო სამსახურის მიერ და შეძენილი იქნა პერსონალური (UM.QW0EE.A04 Acer 60CM 23.8" W, HA240YABI) 88 ერთეული ახალი კომპიუტერული ტექნიკა, აღჭურვილია სამუშაო/სასწავლო მიზნებისთვის აღჭურვილი პროგრამებით, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული ტექნიკის მუდმივ შესაბამისობას საგანმანათლებლო პროცესებთან და ინფორმაციის დაცულობას. აღნიშნულ ანგარიშს თან ერთვის მიღება ჩაბარების აქტი და საგადასახადო ანგარიშფაქტურა.

2022 წლის 18-20 აპრილს ლიცეუმში ჩატარდა პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, მათ შორის, IT ინფრასტრუქტურით სარგებლობასთან დაკავშირებით. გამოკითხულ იქნა 215 რესპოდენტი. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ლიცეუმში არის პროფესიულ სტუდენტთა განვითარებისათვის აუცილებელი IT ინფრასტრუქტურა და ლიცეუმის პროფესიული სტუდენტები შეუფერხებლად სარგებლობენ მისით.

ლიცეუმში IT ინფრასტრუქტურის ეფექტიანი ფუნქციონირება დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალური დათვალიერებითა და ლიცეუმის პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გზით.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.**

2. ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს 2022 წლის 20 მაისის №9 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და დოკუმენტები“, რომელიც განსაზღვრავს ლიცეუმში ინფორმაციული ტექნოლოგიის მართვის პოლიტიკას, ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურებს, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურას, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ეფექტიანობის შეფასებასა და განვითარების მექანიზმებს ლიცეუმის ადმინისტრაციულ საქმიანობასა და საგანმანათლებლო პროცესში. ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკის მიზანია უზრუნველყოს ლიცეუმში საკომუნიკაციო ქსელის საიმედოობა, უსაფრთხოება, მთლიანობა და ხელმისაწვდომობა. ხელი შეუწყოს ლიცეუმის საგანმანათლებლო, ადმინისტრაციული და ბიზნეს პროცესების შეუფერხებელ მიმდინარეობას. პოლიტიკის დებულებების შესრულებაზე პასუხისმგებელია ტექნოლოგიური უზრუნველყოფისა და კომუნიკაციის სამსახური, რომელიც ასევე ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვა. პოლიტიკის დოკუმენტის მე-16 მუხლის შესაბამისად, ლიცეუმი სისტემატიურად ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მონიტორინგს, რაც გულისხმობს IT ინფრასტრუქტურის ტექნიკურ შეფასებას და შეუსაბამობების აღმოფხვრას, ისე პროგრამულ უზრუნველყოფას; ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

ლიცეუმში ხორციელდება რისკების მართვა, რაც აერთიანებს ლიცეუმის პასუხისმგებელი პირების გადაწყვეტილებებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ორგანიზაციის სტრატეგიულ დაგეგმვაზე, მმართველობასა და ყოველდღიურ ოპერირებაზე.

დაწესებულებამ წარმოადგინა ტექნოლოგიური უზრუნველყოფისა და კომუნიკაციის სამსახურის 2022 წლის 27 ივლისის „ლიცეუმის IT რისკების შეფასება და ანალიზი“, რომლის შესაბამისადაც, საანგარიშო პერიოდში ლიცეუმის ტექნოლოგიური უზრუნველყოფისა და კომუნიკაციის სამსახურის მიერ შეფასდა ლიცეუმის IT ინფრასტრუქტურა, რომელიც მიმდინარე პერიოდში განახლდა და სრულად მოვიდა შესაბამისობაში ლიცეუმის ძირითადი პროცესების მართვასთან.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.**

3. ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს 2022 წლის 20 მაისის №9 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა და პროცედურები“, რომლის მიზანია განსაზღვროს ლიცეუმის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული/ცნობილი პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს მონაცემების დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა, დაიცვას ფიზიკური/იურიდიული პირის უფლებები და უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების გამჭვირვალობა.
„პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა და პროცედურების“ შესაბამისად, განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი - იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი (მუხლი 13), ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის წესები, რაც შესაბამისობაშია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან.
ლიცეუმის მიერ პირთა პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენების მიზნით წარმოდგენილია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების თანხმობის ფურცლები, მათ შორის, რეავტორიზაციის მიზნით ლიცეუმის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (პერსონალური მონაცემების) გამოყენების მიზნებისათვის. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრებისას მიზნობრივი კითხვების გამოყენების გზით დაადგინა, რომ ლიცეუმში დაცულია პროფესიულ სტუდენტთა პერსონალური მონაცემები, მათ შორის შეფასების შედეგების გაცნობის ნაწილშიც.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას.**

4. ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს 2019 წლის 11 იანვრის №3 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „განათლების ხარისხის მართვის და უზრუნველყოფის სისტემის (მარეგულირებელი წესი)“ 2.5 კომპონენტი არეგულირებს მონიტორინგის სისტემას, პროცესებსა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

და პროცედურებს. რის მიხედვითაც, მონიტორინგის მე-4 ჯგუფი გულისხმობს „პროცესების მონიტორინგს“, სადაც ასევე მოიაზრება ლიცეუმის ზოგადი მაჩვენებლების შესწავლა, მათ შორის ინფორმაციის შეგროვება ლიცეუმში არსებული ფიზიკური გარემოს, ინფრასტრუქტურის, აღჭურვილობის, მატერიალურ-ტექნიკური და ბიბლიოთეკის რესურსების მდგომარეობის, საკმარისობისა და ხელმისაწვდომობის, პროგრამების განმახორციელებელთა და სტუდენტთა კონტინგენტის ცვლილებების დინამიკის შესახებ, და/ან სხვ. შესასწავლი ასპექტის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიძლება იყოს გამოყენებული: მონაცემების შესწავლა; ვიზუალური დათვალიერება; სტანდარტებთან/ინსტრუქციებთან შედარება; განცხადებების/ინიციატივების განხილვა; პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, სხვ. გამოკითხვა/ზეპირი გასაუბრება; სხვ.
წინა ვიზიტის პერიოდში (2022 წლის 23, 24 და 25 თებერვალი) ექპერტთა ჯგუფის შეფასებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დაწესებულების დამხმარე პროცესებს აფასებს კომპლექსურად, თუმცა ამ შეფასებაში ნაკლებად ჩანს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის შეფასება. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, ლიცეუმის წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის გეგმა (№01-03/2; 24.02.2022წ.) ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სრულად იმპლემენტაციის მიზნით, რომლის პირველი აქტივობა გულისხმობდა ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებების სრულად იმპლემენტაციას.

მიმდინარე მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა ტექნოლოგიური უზრუნველყოფისა და კომუნიკაციის სამსახურის 2022 წლის 30 ივნისის „საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტიანობის შეფასების ანგარიში“, რომელიც ეხება 2022 წლის 07 მარტიდან 18 აპრილამდე შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმის სასწავლო/სამუშაო მიზნებისთვის განთავსებული კომპიუტერული ტექნიკის შემოწმებას. შემოწმებამ აჩვენა, რომ კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც განთავსებული იყო I კორპუსის I სართულზე №1 კომპიუტერულ კლასში მოძველებულია, მუშაობდა შეფერხებით და ექვემდებარებოდა განახლებას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყდა-კომპიუტერული ტექნიკის ჩამოწერა, რაზეც შედგა ჩამოწერის აქტი. მიღებული აქტის საფუძველზე მოხდა რეაგირება საფინანსო სამსახურის მიერ და შეძენილი იქნა პერსონალური (UM.QW0EE.A04 Acer 60CM 23.8" W, HA240YABI) 88 ერთეული ახალი კომპიუტერული ტექნიკა, აღჭურვილია სამუშაო/სასწავლო მიზნებისთვის აღჭურვილი პროგრამებით, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული ტექნიკის მუდმივ შესაბამისობას საგანმანათლებლო პროცესებთან და ინფორმაციის დაცულობას. აღნიშნულ ანგარიშს თან ერთვის მიღება ჩაბარების აქტი და საგადასახადო ანგარიშფაქტურა.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა 2022 წლის აპრილში ჩატარებული კმაყოფილების კვლევების შედეგები და ანალიზი, რომლის შესაბამისადაც შეფასდა პროფესიული სტუდენტების, პროფესიული მასწავლებლებისა და დაწესებულების პერსონალის კმაყოფილება საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის მიმართულებით.

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 5.2.1.4 დაკმაყოფილებულია, პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

5. ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს 2019 წლის 11 იანვრის №3 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „შინაგანაწესის“ 26-ე მუხლი არეგულირებს ლიცეუმის მატერიალურ-ტექნიკური რესურსით სარგებლობის საკითხებს, რის მიხედვითაც ლიცეუმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინფრასტრუქტურა, ტერიტორია, შენობა-ნაგებობანი, მოწყობილობები, ინვენტარი და ტექნიკური აღჭურვილობა, ბიბლიოთეკა, ლინგაფონის და სხვა კაბინეტები, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა, სპეციალური კომპიუტერული პროგრამები, საერთაშორისო ონლაინ ბიბლიოთეკა და სხვა მატერიალური ფასეულობანი, განკუთვნილია პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის სასწავლო, შემეცნებითი და შემოქმედებითი საქმიანობისთვის. ბიბლიოთეკაში დაცულია წიგნადი ფონდი - თანამედროვე ქართული და უცხოური სამეცნიერო, საგანმანათლებლო და უნივერსალური ხასიათის გამოცემები, სახელმძღვანელოები, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურა, საინფორმაციო და საილუსტრაციო მასალები, რომლებიც განკუთვნილია სასწავლო და კვლევითი მუშაობისათვის. ბიბლიოთეკის ფონდი ბეჭდვითი გამოცემების გარდა მოიცავს სახელმძღვანელოების ელექტრონულ ვერსიებს, აუდიო და ვიზუალურ მასალას. ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, შესაძლებელია მუდმივი ინტერნეტით და ონლაინ რეჟიმში Witherbys Library (ელექტრონული ბიბლიოთეკით) სარგებლობა. მატერიალურ ტექნიკური რესურსებით დანიშნულებისამებრ სარგებლობა შეუზღუდავად თანასწორ პირობებში შეუძლიათ მოსწავლეებს/პროფესიულ სტუდენტებს, ადმინისტრაციულ, დამხმარე, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს. დაუშვებელია ლიცეუმის პროფესიული სტუდენტის ან პერსონალის მიერ ლიცეუმის სხვა მოსწავლეების/პროფესიული სტუდენტისთვის ან პერსონალისთვის შენობით, ბიბლიოთეკის ფონდებით და სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა. გამორიცხულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების ისეთი წესების შემოღება, რამაც შეიძლება შექმნას ცენზურის დაწესების საფრთხე ან შეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება. მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით სარგებლობის უფლების ერთადერთ შეზღუდვას წარმოადგენს მათი გამოყენება კანონსაწინააღმდეგო საქმიანობისთვის. ლიცეუმში სასწავლო პროცესი არის სრულად კომპიუტერიზებული, გამოიყენება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და თანამედროვე, მათ შორის სპეციალური კომპიუტერული პროგრამები; მოქმედებს ბიბლიოთეკის ელექტრონული საძიებო სისტემა, შესაძლებელია ელექტრონულ ფორმატში ლიტერატურის მიღება, უზრუნველყოფილია ონლაინ რეჟიმში საერთაშორისო ბიბლიოთეკით სარგებლობა;
უზრუნველყოფილია ინტერნეტით შეუზღუდავი სარგებლობა (ფართის მნიშვნელოვანი ნაწილი დაფარულია Wi-Fi). ზემოაღნიშნული ხელმისაწვდომია როგორც ადმინისტრაციის, ისე მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტებისთვის.

ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს 2022 წლის 20 მაისის №9 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და დოკუმენტების“ შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის და მომსახურების გაწევაზე პასუხისმგებელია ტექნოლოგიური უზრუნველყოფისა და კომუნიკაციის სამსახური.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

2022 წლის 18-20 აპრილს ლიცეუმში ჩატარდა პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, მათ შორის, IT ინფრასტრუქტურით სარგებლობასთან დაკავშირებით. გამოკითხულ იქნა 215 რესპოდენტი. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ლიცეუმში არის პროფესიულ სტუდენტთა განვითარებისათვის აუცილებელი IT ინფრასტრუქტურა და ლიცეუმის პროფესიული სტუდენტები შეუფერხებლად სარგებლობენ მისით.

პროფესიული სტუდენტების მიერ ლიცეუმის სასწავლო და დამხმარე რესურსით, მათ შორის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობის შესაძლებლობა დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.5 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.**

6. ლიცეუმში კომუნიკაცია პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ხორციელდება ერთიანი საკომუნიკაციო სისტემით, დაწესებულებაში პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისთვის მოქმედებს ელ-ფოსტის ერთიანი ჯგუფი. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად ლიცეუმი ახალი თანამშრომლის სამსახურში მიღების ან პროფესიული სტუდენტის რეგისტრაციის მომენტში ახორციელებს ინფორმირებას, ერთიანი საკომუნიკაციო ბაზების შევსებას, საჭიროების შემთხვევაში ელექტრონული ფოსტის მისამართების გახსნის მომსახურეობას. დაწესებულება შესაბამისი სამიზნე ჯგუფების ინფორმირებას ახორციელებს მის ხელთ არსებული სისტემის მეშვეობით, რაც დასტურდება ინფორმაციის გაგზავნის ფაქტებით, ასევე პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების გამოკითხვებით ამ სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებით. დაწესებულებას ასევე აქვს ერთიანი ფეისბუქ ჯგუფი პროფესიული სტუდენტებისთვის და პროფესიული პროგრამების განმახორციელებლებისათვის.
პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის/სასწავლო პროცესის მართვის მიზნით გამოიყენება ციფრული პლატფორმა „INI.GE", "Schoolbook". პლატფორმა განკუთვნილია როგორც სკოლის მოსწავლეებისათვის, რომლებიც ამავდროულად სწავლობენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, ისე პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებიც სწავლობენ მხოლოდ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. პროფესიული სტუდენტები ინდივიდუალურ პროფილზე გადიან ავტორიზაციას და ეძლევათ შესაძლებლობა ისარგებლონ სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მხარდაჭერით, კერძოდ პლატფორმის პროფილია: „პირადი მონაცემები", „შეტყობინებები", „განცხადებები", „ელ-სწავლება", „ელ-კანცელარია", „საგანმანათლებლო პროგრამა", „სასწავლო ბარათი", „აკადემიური რეგისტრაცია", „ცხრილი", „ფინანსები", „ბიბლიოთეკა" და სხვა. აღსანიშნავია, რომ პლატფორმა გარდა ინფორმაციის მიწოდებისა, იძლევა კომუნიკაციის შესაძლებლობას. პროფესიულ სტუდენტს შეუძლია საკუთარი გვერდიდან გააგზავნოს შეტყობინება ან განცხადება ადმინისტრაციის შესაბამის წარმომადგენელთან. აღნიშნული პლატფორმის საშუალებით პროფესიულ სტუდენტებს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

„ბიბლიოთეკის“ გვერდზე ატვირთული აქვთ ელექტრონული სახელმძღვანელოები, „სასწავლო ბარათის“ ველში აისახება შეფასების შედეგები და სხვა.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან განხორციელებული ინტერვიურებისას დადასტურდა ლიცეუმის ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემის ეფექტიანი მუშაობა.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.6 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს მიერ 2022 წლის 20 მაისის №9 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები“;
2. ტექნოლოგიური უზრუნველყოფისა და კომუნიკაციის სამსახურის 2022 წლის 30 ივნისის „საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტიანობის შეფასების ანგარიში“;
3. 2022 წლის 18-20 აპრილს ჩატარებული პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა;
4. ტექნოლოგიური უზრუნველყოფისა და კომუნიკაციის სამსახურის 2022 წლის 27 ივლისის „ლიცეუმის IT რისკების შეფასება და ანალიზი“;
5. ინტერნტერპროვაიდერთან (სს „სილქნეტი“) გაფორმებული ხელშეკრულება;
6. ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს 2022 წლის 20 მაისის №9 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა და პროცედურები“;
7. თანხმობის ფურცლები პერსონალურ მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით;
8. ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს 2019 წლის 11 იანვრის N3 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „განათლების ხარისხის მართვის და უზრუნველყოფის სისტემა“;
9. ლიცეუმის დირექტორის 2022 წლის 22 აგვისტოს №01-03/12 ბრძანებით დამტკიცებული „ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა“;
10. ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს 2019 წლის 11 იანვრის №3 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „შინაგანაწესი“;
11. პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის/სასწავლო პროცესის მართვის ციფრული პლატფორმა „INI.GE“; “Schoolbook“; Schoolbook-ისა და INI.GE-ს ხელშეკრულებები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

12. ლიცეუმის ინფრასტრუქტურის დათვალიერებისა და პასუხისმგებელ პირებთან, ასევე პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

**5.2.2** პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს 2022 წლის 24 ივნისის №11 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების წესები (ინსტრუქცია)“, რომელიც არეგულირებს ლიცეუმის საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ ყველა პროცესსა და პროცედურას. დოკუმენტში გაწერილი დებულებები შესაბამისობაშია საქართველოს სახელმწიფო სტანდარტი ”სსტ 6.2.94” და ”საქმისწარმოების ერთიანი წესების” დამტკიცების და შემოღების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულებით განსაზღვრულ დებულებებთან. დარეგულირებულია საქმიანობის დოკუმენტირების, მმართველობითი დოკუმენტების შედგენისა და გაფორმების, დამტკიცების, დოკუმენტებზე მუშაობის ორგანიზებისა და დოკუმენტების რეგისტრაციისა და აღრიცხვის, დოკუმენტების და დავალებების შესრულების კონტროლის, მათ შორის დოკუმენტის შესრულების ვადების დაცვის მექანიზმები, ლიცეუმის საქმეთა ნომენკლატურის შედგენისა და საქმეების გაფორმების მექანიზმები.

ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს 2019 წლის 11 იანვრის №3 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია საუწყებო არქივის დებულება, რომელიც არეგულირებს ლიცეუმში საარქივო საქმისწარმოებას, მათ შორის საქმისწარმოების პროცესში წარმოქმნილი საარქივო დოკუმენტების დაცვა-აღრიცხვას, საინფორმაციო-საცნობარო და სხვა სახის სამუშაოებისათვის აუცილებელი მასალების შენახვას, აკონტროლებს სტრუქტურულ ერთეულებში საარქივო მასალების დაცვისა და საქმეების ფორმირების სისწორეს და სხვა. რაც შესაბამისობაშია საარქივო საქმიანობის მომწესრიგებელი კანონმდებლობის მათ შორის ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან.

ლიცეუმის საქმისწარმოების წესით განსაზღვრული დებულებები არაა წინააღმდეგობაში საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქციითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ დებულებებთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი.**

2. წინა ვიზიტის დროს (2022 წლის 23, 24 და 25 თებერვალი) ლიცეუმში არ გამოიყენებოდა საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა. აღნიშნულის დანერგვის მიზნით დაწესებულებას დაწყებული ჰქონდა მუშაობა, რაც ასახული იყო წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის (ბრძანება №01-03/2; 24.02.2022წ.) მესამე აქტივობაში და შესრულების ვადად მითითებული იყო 2022 წლის 28 ივლისი.
მონიტორინგის ვიზიტის დროს გაირკვა, რომ 2022 წლის ივნისიდან დაწესებულებაში მოქმედებს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა - eDocument, დაწესებულებამ ასევე უზრუნველყო თანამშრომელთათვის ტრენინგის ჩატარება ამ მიმართულებით. ექსპერტებმა შეამოწმეს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა და დაადგინეს, რომ დაწესებულება საქმიანობაში აქტიურად იყენებს მას.

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 5.2.2.2 დაკმაყოფილებულია, პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;**

3. ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს 2022 წლის 20 მაისის №9 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოების წესი“, რომელიც განსაზღვრავს ლიცეუმის პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოების პირობებს, მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის შეტანისათვის პასუხისმგებელ პირს, ინფორმაციის შეტანის, რეგისტრირებულ ინფორმაციაში ცვლილების განხორციელებისა და მართვის საინფორმაციო სისტემიდან ინფორმაციის ამოღების წესებს. მართვის საინფორმაციო სისტემაში აისახება ინფორმაცია ლიცეუმის საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე/ჩარიცხული პირების მითითებით;
ამასთან, ლიცეუმის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს რეგისტრაციის, შეფასებისა და მონიტორინგის სამსახური, რომლის ფუნქციებად განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემასა და შიდა ბაზაში პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაცია, პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაციის უზრუნველყოფა და კონტროლი, მობილობასთან დაკავშირებული პროცესების ტექნიკური უზრუნველყოფა.
ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით შეამოწმა პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ასახული ინფორმაცია. ლიცეუმის მიერ პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის შესახებ ინფორმაცია ასახულია სრულად.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

4. ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს 2022 წლის 24 ივნისის №11 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების წესები ინსტრუქცია)“, რომლის 35-38-ე მუხლები არეგულირებს დოკუმენტების და დავალებების შესრულების კონტროლისა და დოკუმენტის შესრულების ვადებს, მათ შორის განსაზღვრულია დოკუმენტის და დავალების შესრულების კონტროლის პროცედურებს, დოკუმენტის შესრულების ვადებს, დოკუმენტის შესრულების ვადების კონტროლის მექანიზმებს, დოკუმენტის კონტროლიდან მოხსნის საკითხებს. დოკუმენტებზე რეაგირებისა და შესრულების ვადები არ აღემატება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ ვადებს.
ლიცეუმში საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია კანცელარიის ხელმძღვანელი.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით შემოწმდა ლიცეუმის მიერ მიღებული და გაცემული კორესპონდენციები, რითაც დადასტურდა დაწესებულების მიერ კორესპონდენციის შესრულების ვადების დაცვა.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს 2022 წლის 24 ივნისის №11 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების წესები (ინსტრუქცია)“;
2. ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს 2019 წლის 11 იანვრის №3 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საუწყებო არქივის დებულება“;
3. ელექტრონული საქმისაწარმოების დანერგვის მტკიცებულებები (კორესპონდენციები, მიღება-ჩაბარების აქტი, საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის დანერგვის სამუშაო შეხვედრის დასწრების ფურცელი);
4. ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს 2022 წლის 20 მაისის №9 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოების წესი“;
5. პროფესიული განათლების მართვის სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირის თანამდებობრივი ინსტრუქცია;
6. პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ასახული ინფორმაცია;
7. ლიცეუმის პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

**5.2.3** პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას.

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ლიცეუმის ოფიციალური ვებგვერდია: https://www.liceum.bntu.edu.ge და სოციალური ქსელი - ფეისბუქ გვერდი: Makhinjauri Maritime Lyceum - მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმი.
წინა ვიზიტის დროს (2022 წლის 23, 24 და 25 თებერვალი) ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ლიცეუმს დაწყებული ჰქონდა მუშაობა ვებგვერდის სრულყოფის მიზნით და აღნიშნული გაწერილი იყო ლიცეუმის მიერ წარმოდგენილი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმაში (ბრძანება №01-03/2; 24.02.2022წ.) აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრული იყო 2022 წლის 28 ივლისი.
ლიცეუმის დირექტორის მიერ 2022 წლის 4 ივლისს დამტკიცდა ოფიციალური ვებგვერდის შეფასებისას გამოვლენილი შენიშვნების/რეკომენდაციების მიხედვით მაკორექტირებელ ქმედებათა შესრულების გეგმა, რითიც განისაზღვრა ვებგვერდთან დაკავშირებული შენიშვნები, მაკორექტირებელი ქმედებები, შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები.
მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში, ექსპერტთა მიერ დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ლიცეუმი უკვე სარგებლობს ახალი, რეგულარულად განახლებადი ვებ-გვერდით, სადაც განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, დაწესებულების საქმიანობის, სტრუქტურის, პროგრამების შესახებ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი აქტები, ინფორმაცია ლიცეუმის მისიის, ხედვის, ღირებულებების შესახებ და ა.შ. ვებგვერდი ფუნქციონირებს ინგლისურ ენაზეც. ლიცეუმის ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებისას გათვალისწინებულია ინფორმაციის გონივრულ ვადებში მიღების ინტერესი; ვებგვერდის ნავიგაცია მარტივია, ინფორმაცია განთავსებულია ლოგიკურად დაჯგუფებულ და დასათაურებულ რუბრიკებში.
ვებგვერდს, ისევე, როგორც დაწესებულების ფეისბუქ გვერდს, გააჩნია როგორც საინფორმაციო, ასევე საკომუნიკაციო ფუნქცია.
ლიცეუმის მიერ წარმოდგენილია დომენისა და ჰოსტინგის ფლობის დოკუმენტები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.1. დაკმაყოფილებულია, პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;**

2. წინა ვიზიტის დროს (2022 წლის 23, 24 და 25 თებერვალი) ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ლიცეუმს დაწყებული ჰქონდა მუშაობა ვებგვერდის სრულყოფის მიზნით, მათ შორის, ინგლისურენოვან ვებგვერდზე მუშაობა, ვინაიდან, მართალია ლიცეუმი ახორციელებს მხოლოდ ქართულენოვან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, თუმცა დაწესებულების მისიასა და ხედვაში განსაზღვრული აქვს საერთაშორისო შრომის ბაზართან აქტიური თანამშრომლობა. ლიცეუმის სტრატეგიის მიხედვით ერთ-ერთი მიმართულებაა რეგიონალიზაცია და ინტერნაციონალიზაცია, ხოლო ერთ-ერთი ამოცანაა „აქტიური მონაწილეობა რეგიონის ცხოვრებაში და საერთაშორისო სივრცეში ინტეგრირება“, და აღნიშნული გაწერილი იყო ლიცეუმის მიერ წარმოდგენილი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმაში (ბრძანება №01-03/2; 24.02.2022წ.) აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრული იყო 2022 წლის 28 ივლისი.
ლიცეუმის დირექტორის მიერ 2022 წლის 4 ივლისს დამტკიცდა ოფიციალური ვებგვერდის შეფასებისას გამოვლენილი შენიშვნების/რეკომენდაციების მიხედვით მაკორექტირებელ ქმედებათა შესრულების გეგმა, რითიც განისაზღვრა ვებგვერდთან დაკავშირებული შენიშვნები, მაკორექტირებელი ქმედებები, შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები.
მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში, ექსპერტთა მიერ დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ლიცეუმი უკვე სარგებლობს ახალი, რეგულარულად განახლებადი ვებ-გვერდით, სადაც განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, დაწესებულების საქმიანობის, სტრუქტურის, პროგრამების შესახებ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი აქტები, ინფორმაცია ლიცეუმის მისიის, ხედვის, ღირებულებების შესახებ და ა.შ. ვებგვერდი ფუნქციონირებს ინგლისურ ენაზეც https://www.liceum.bntu.edu.ge/en/ .

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.2. დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;**

3. დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია დაწესებულების აქტივობების, მიღწევების, პარტნიორობის და სხვა არის უტყუარი და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მისი დადასტურება.
ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს 2022 წლის 20 მაისის №9 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული აქვს „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“, რომელიც არეგულირებს ისეთ საკითხებს როგორიცაა, ვებგვერდისა და სოციალური ქსელის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

მართვა, სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი და ამ პროცესში მონაწილე პირთა ფუნქციები და პასუხისმგებლობები.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.3 დაკმაყოფილებულია, ლიცეუმი უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.**

4. ლიცეუმის ვებგვერდზე განთავსებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი 2022“, სადაც მოცემულია საკონტაქტო ინფორმაცია; ლიცეუმის ისტორია, მისია, ხედვა და ღირებულებები; ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, პროფესიული სტუდენტის შეფასების, სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტების სერვისების, პროგრამების განხორციელებაში ჩართული პარტნიორი დაწესებულებების შესახებ და მოცემულია ფოტო კოლაჟი. განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და ელექტრონული კატალოგი. კატალოგში მოცემული ინფორმაცია რელევანტურია და ემსახურება დაინტერესებულ პირთათვის ლიცეუმის შესახებ საჭირო ინფორმაციის მიწოდებას.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.4 დაკმაყოფილებული, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.**

5. ლიცეუმი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლებას ყოველწლიურად, რის დასტურადაც ლიცეუმის მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის არქივი 2019, 2020, 2021 წლები, ლიცეუმის ვებგვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი 2022.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.**

ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს 2022 წლის 20 მაისის №9 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული აქვს „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“, რომლის შესაბამისადაც ლიცეუმი თავისი საქმიანობის წარმოსაჩენად ახორციელებს შემდეგ აქტივობებს: ავრცელებს ლიცეუმის სახელით ოფიციალურ მიმართვებსა და განცხადებებს, ხელს უწყობს პროფესიული განათლების/საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზებას, ხელს უწყობს ლიცეუმის პროგრამის განმახორციელებელი პირების და პერსონალის პოპულარიზაციას, აორგანიზებს და აწყობს საზოგადოების წარმომადგენლების, ადმინისტრაციისა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან შეხვედრებს, აწარმოებს შიდასაორგანიზაციო კომუნიკაციას, გეგმავს და ახორციელებს ლიცეუმში კულტურულ-შემოქმედებით, ექსტრაკურიკულურ აქტივობებს, მართავს ლიცეუმის ვებ-გვერდს, მართავს ლიცეუმის ოფიციალურ გვერდს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

სოციალურ ქსელში, აწყობს საინფორმაციო/სამუშაო შეხვედრებს და სხვა ღონისძიებებს ლიცეუმის საჭიროების შესაბამისად, საჭიროების შესაბამისად ამზადებს/ავრცელებს სარეკლამო მასალებს, ხელს უწყობს აპლიკანტების/პროფესიული სტუდენტების/მსმენელების/თანამშრომლების/-დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას, ინფორმაციის გავრცელებისას იცავს პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, აკონტროლებს, რომ გავრცელებული ინფორმაცია იყოს უტყუარი და არ იყოს შეცდომაში შემყვანი, ლიცეუმი სისტემატიურად ახდენს საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში განხორციელებული უკუკავშირის ანალიზს, რათა გამოვლენილი შედეგები გამოიყენოს მისი საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ლიცეუმის საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირს, რომელმაც სრულფასოვნად აღწერა ლიცეუმის საზოგადოებასთან ურთიერთობის მიდგომები, დაასახელა ცალკეული მაგალითები, როდესაც დაინტერესებული პირების მიერ მიღებულ იქნა ინფორმაცია/შეტყობინება ლიცეუმის ცალკეული პროცესების გაუმჯობესების მიმართულებით, რაც ლიცეუმმა გაითვალისწინა თავის საქმიანობაში.

ამასთან, დაწესებულებამ წარმოადგინა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის 2022 წლის 27 ივლისის „ლიცეუმის თანასაზოგადოებიდან მიღებული ინფორმაციის შესახებ ანგარიში“, რომლის შემუშავების მიზანია ლიცეუმის თანასაზოგადოებისგან მიღებული ინფორმაციის შეჯამება, ანალიზი და ლიცეუმის სერვისების გაუმჯობესების დინამიკის შეფასება, რაც იძლევა საფუძველს შეფასდეს ლიცეუმის საქმიანობის ხარისხი და წარმოდგენილ იქნეს გასაუმჯობესებელი მაჩვენებლები. ანგარიშის მიზნებისათვის ლიცეუმი თანასაზოგადოების წევრებად განიხილავს - ლიცეუმის პროფესიულ სტუდენტებს, ლიცეუმის ყველა კატეგორიის პერსონალს, ლიცეუმის პარტნიორ დაწესებულებებს, ლიცეუმის პროფესიული სტუდენტების მშობლებს, პოტენციურ სტუდენტებს, პოტენციურ დამსაქმებელებს და ნებისმიერ სხვა პირს, ვინც დაინტერესებულია ლიცეუმის საქმიანობით და გეგმავს ლიცეუმთან თანამშრომლობას ან ურთიერთობას შესაბამისი სტატუსით. ანგარიში მოიცავს: ლიცეუმის ოფიციალური სოციალური ქსელიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზს, ლიცეუმის ოფიციალური ვებგვერდიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზს, ლიცეუმის სტუმრებისგან მიღებული ინფორმაციის ანალიზს, ლიცეუმის ვიზიტორებისგან მიღებული ინფორმაციის ანალიზს.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.6 დაკმაყოფილებულია, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს ლიცეუმი იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

1. ლიცეუმის ოფიციალური ვებგვერდია: https://www.liceum.bntu.edu.ge და სოციალური ქსელი - ფეისბუქ გვერდი: Makhinjauri Maritime Lyceum - მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმი.
2. ლიცეუმის დირექტორის მიერ 2022 წლის 4 ივლისს დამტკიცდა ოფიციალური ვებგვერდის შეფასებისას გამოვლენილი შენიშვნების/რეკომენდაციების მიხედვით მაკორექტირებელ ქმედებათა შესრულების გეგმა;
3. დომენისა და ჰოსტინგის ფლობის დოკუმენტები;
4. ლიცეუმის ინგლისურენოვანი ვებგვერდი: https://www.liceum.bntu.edu.ge/en/ ;
5. ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს 2022 წლის 20 მაისის №9 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული აქვს „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“;
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი 2022;
7. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის არქივი 2019, 2020, 2021 წლები;
8. ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს 2022 წლის 20 მაისის №9 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“;
9. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის 2022 წლის 27 ივლისის „ლიცეუმის თანასაზოგადოებიდან მიღებული ინფორმაციის შესახებ ანგარიში“;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

## XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;
დანართი 2. ლიცეუმის დირექტორის 2022 წლის 22 აგვისტოს № N01-03/12 ბრძანებით დამტკიცებული „ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა“.

15.09.2022
თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------